ჩემი და პოლონელი ხალხის სახელით გულითადად და საუკეთესო სურვილებით საქართველოს ყველა მოქალაქეს გილოცავთ დამოუკიდებლობის დღეს.
ეს არის დღესასწაული, რომელიც ახალ - სიმბოლურ - მნიშვნელობას იძენს უკრაინაში მიმდინარე რუსთის სრულმასშტაბიანი შეჭრის დროს. გვაცნობიერებინებს, თუ რაოდენ დიდია თავისუფლებისა და სუვერენიტეტის ფასი და ჩვენი ორივე ერის მიერ დაღვრილი სისხლი ბრძოლით მათ მოსაპოვებლად. აგრეთვე გვახსენებს, რომ თავისუფლების მოპოვება არ არის ერთხელ და სამუდამო და გვაქვს ვალდებულება მუდამ მზად ვიყოთ მის დასაცავად. პოლონეთი ყოველთვის მხარს დაუჭერს თავისუფალ და სუვერენულ საქართველოს - ასე იყო 1918 წელს როდესაც საქართველომ გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა, ასე იყო 2008 წელსაც როდესაც საქართველოს თავს დაესხა რუსეთი ხოლო პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი საქართველოს პარლამენტის წინაშე გამოვიდა სიტყვით, ასეა ამჟამად და ასე იქნება მუდამ.
საუკუნეების განმავლობაში საქართველო არის ერთ-ერთი ქრისტიანული ქვეყანა, რომლიდანაც მომდინარეობს ევროპული კულტურის კერა. ამიტომ პოლონეთი ცალსახად მხარს უჭერს ქართველი ერის ნებას ააშენოს და განამტკიცოს კავშირები ევროპული თანამეგობრობის ქვეყნებთან.

ანჯეი დუდა
პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი